ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183593476**
თარიღი: **25/12/2018**
პინი: **9325**

ადრესატი: თენგიზ გოგინაშვილი
პირადი ნომერი: 59001012048
მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, კორპ. N14-ის მიმდებარედ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/01182691697-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

ვლადიმერ ყუშიტაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-012 *405026877*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ ბ-19/01182631637-17

"21." 12. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 14, მიმდებარედ / დასხლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III კორპუსი 1, მიმდებარედ / დიდი დიღომის III მ/რ-ის, I კორპუსის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.08.006.611, 01.10.08.006.066) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3810211 06.02.2018წ.

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 14, მიმდებარედ / დასხლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III კორპუსი 1, მიმდებარედ / დიდი დიღომის III მ/რ-ის, I კორპუსის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.08.006.611, 01.10.08.006.066) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

გეგმების მიხედვით:
გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა. დამატებით მოწყობილია რიგელები. 0.000 ნიშნულზე: ა-დ მონაკვეთში 1-1 ღერძზე დამატებით მოწყობილია კედლები. 4-4 ღერძზე ა-დ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დაბალი სიმაღლის ბლოკის კედლები. რელიეფის ცვლილების ხარჯზე გაუქმებულია პანდუსები. ასევე დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა და გასატანია სამშენებლო ნარჩენები. -0.080 და +0.000 ნიშნულებს შორის მოსაწყობია შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი.
+0.000 და +3.600 ნიშნულებს შორის გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა.
+39.900 ნიშნულზე: არაექსპლუატირებულ ფართებში მოსაწყობია გამწვანება. ბ-1-დ და 1-2 მონაკვეთების გადაკვეთაზე სამანქანოში შეცვლილია იატაკის ნიშნული. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცლები.
ფასადები: შეცვლილია კედლების ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ფერი. +42.900 ნიშნულზე მოწყობილია თუნუქის გადახურვა.
ფასადი 1-4 ღერძებს შორის: 2-2 ღერძთან +3.600 ნიშნულზე და ზევით ცხაურების ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედლები, მილები და გამწოვები. +16.800 ნიშნულზე 3-3 ღერძთან აივანზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა. 3-4 მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების და კარ-ვიტრაჟების ვიზუალი და სიგანე. +39.900 ნიშნულზე 2-2 ღერძთან დამატებით მოწყობილია ხვრელი. 3-3 ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.
ფასადი ა-დ ღერძებში: +27.700 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი და დამატებით მოწყობილია ფრანგული აივნები. ნაწილობრივ გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. აივნის ფილები ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. +3.600 ნიშნულის ქვევით ბ-1-გ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ადგილმდებარეობა. 2-2 ღერძის მიმდებარედ +3.600 ნიშნულზე და ზევით ცხაურების ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედლები, მილები და გამწოვები. კარ-ფანჯრების და ფანჯრების გარშემო დამატებულია დეკორატიული ლესვა. 1-1 ღერძთან დასასრულებელია წყალშემკრები მილის მოწყობა.4-4 ღერძთან შეცვლილია წყალშემკრები მილის ადგილმდებარეობა და ფორმა.
ფასადი 4-1 ღერძებში: ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ადგილმდებარეობა

ფასადი დ-ა ღერძებში: ბ-1 ღერძთან გაზრდილია რიგელები რაოდენობა. ა-ა ღერძთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯეოტერა-3"-ს ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 14, მიმდებარედ / დასხლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III კორპუსი 1, მიმდებარედ / დიდი დიღომის III მ/რ-ის, I კორპუსის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.08.006.611, 01.10.08.006.066) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182691697-17 26.09.2018წ. განცხადება.
№19/01182691697-17 27.09.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე